


სექტორის ზოგადი მიმოხილვა

ზოგადი ტენდენციები

ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობა მუდმივად ახორციელებდა ყურძნის, ვაშლისა და მანდარინის წარმოების სუბსიდირებას მთელი ქვეყნის მასშტაბით. მანდარინის სუბსიდირების მიმდინარე პროგრამით, 900 ათასი ლარი დაიხარჯება „არასტანდარტული“ (შედარებით დაბალი ხარისხის ხილის) მანდარინის სუბსიდირებაზე. სუბსიდირების ეს პროგრამა 2021 წლის 25 ნოემბერს დაიწყო და 2022 წლის 1 თებერვლამდე გაგრძელდება. 1 კგ არასტანდარტულ მანდარინზე სახელმწიფო თანადაფინანსება 10 თეთრს შეადგენს. იმის გათვალისწინებით, რომ საწარმოებიც 10 თეთრს გადაიხდიან, მანდარინის გადამუშავების საბოლოო ფასი 20 თეთრი/კგ იქნება. სტატისტიკის თანახმად, არასტანდარტული მანდარინი მთლიანი მოსავლის დაახლოებით 16-17%-ს შეადგენს.

ამჟამად, საქართველოში წარმოებული მანდარინის მინიმუმ 50% ექსპორტზე გადის მეზობელ ქვეყნებში – ძირითადად, სომხეთში, რუსეთსა და აზერბაიჯანში. თუმცა, როგორც ვაჭრობის მონაცემები აჩვენებს, ექსპორტის რაოდენობა და ღირებულება ბოლო ორი წლის განმავლობაში საგრძნობლად შემცირდა, ექსპორტის ფასი კი გაიზარდა, სულ მცირე ნომინალურ მაჩვენებლებში.

მანდარინის ექსპორტის ღირებულება, რაოდენობა და ფასი



წყარო: საქსტატი, 2021


დარგის სუბსიდირება გასულ წელსაც მოხდა, თუმცა კლებადი ტენდენციები შენარჩუნდა არა მხოლოდ ვაჭრობაში, არამედ წარმოებაშიც. რაც შეეხება 2021 წელს, მოსალოდნელია, რომ 2021 წლის მოსავალი წინა წლებთან შედარებით გაცილებით მაღალი იქნება და 70 ათას ტონას მიაღწევს.

2021 წლის მოსავალთან დაკავშირებით დადებითი მოლოდინების მიუხედავად, 2006-2021 წლებში წარმოების საერთო ტენდენცია კლებადია, რაც შემდეგი მიზეზებით აიხსნება: უამინდობა; აზიური ფაროსანას შემოჭრა 2015 წელს და სექტორზე ხანგრძლივი უარყოფითი გავლენა; მაღალი დამოკიდებულება პოსტსაბჭოთა ბაზრებზე, სადაც ხარისხის სტანდარტები რიგ შემთხვევებში ევროპულ ბაზრებთან შედარებით დაბალია. კიდევ ერთი მიზეზი შეიძლება იყოს მწარმოებლების სურვილი, გადაერთონ უფრო მაღალი დამატებული ღირებულების მქონე სასოფლო-სამეურნეო კულტურის წარმოებაზე.

სუბსიდიებმა შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს სექტორზე და შეამციროს ფერმერების სურვილი, გააუმჯო-

ბესონ წარმოებული პროდუქტის ხარისხი და გაზდნენ უფრო კონკურენტუნარიანები.

მანდარინის წარმოება (ათასი ტონა)



წყარო: საქსტატი, 2021


შენიშვნა: * ექსპერტების შეფასება

ადგილობრივი ფასები


თვიურ ჭრილში, ქვეყანაში ფასების დონე 2021 წლის სექტემბერ-ნოემბერში გაიზარდა. მიმდინარე წლის ოქტომბერთან შედარებით, სამომხმარებლო ფასების ინდექსი (CPI) ნოემბერში უმნიშვნელოდ, 0.61%-ით გაიზარდა. ოქტომბერში კი ფასები წინა თვესთან შედარებით 1.3%-ით გაიზარდა. სექტემბერში ფასების ზრდამ თვიურ ჭრილში 0.2% შეადგინა.

2021 წლის სექტემბერ-ნოემბერში სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფის ფასებმაც აღმავალი ტენდენცია აჩვენა. ნოემბერში, წინა თვესთან შედარებით, სურსათზე ფასები უმნიშვნელოდ, 0.6%-ით გაიზარდა. სექტემბერსა და ოქტომბერში კი ფასების შესაბამისი თვიური ცვლილებები 0.2% და 3% იყო.

სამომხმარებლო ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით (სექტემბერ-ნოემბერი 2021)



სურსათის ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით (სექტემბერ-ნოემბერი 2021)




წყარო: საქსტატი, 2021. შენიშვნა: ინდექსის მნიშვნელობა წინა თვეში 100-ის ტოლია.

წლიურ ჭრილში, 2021 წლის სექტემბერ-ნოემბერში CPI ზრდას განაგრძობდა. 2021 წლის სექტემბერში, 2020 წლის სექტემბერთან შედარებით, CPI 12.3%-ით გაიზარდა; წლიურმა ინფლაციამ 2021 წლის ოქტომბერში 12.8%, ნოემბერში კი 12.5% შეადგინა.

2021 წლის ნოემბერში წლიური ფასები მნიშვნელოვნად, 17%-ით გაიზარდა სურსათსა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფშიც, რაც სამომხმარებლო ფასების მთლიან ინდექსზე 5.35 პროცენტული პუნქტით აისახა. ძირითადი გავლენა იქონია ფასების ზრდამ შემდეგ ქვეჯგუფებში:

სამომხმარებლო ფასებისა და სურსათის ფასების ინდექსების წლიური ცვლილება



ზეთი და ცხიმი (27.7%¹)

ბოსტნეული და ბაღჩეული (26.2%¹)



პური და პურპროდუქტები (20.4%¹)

წყარო: საქსტატი, 2021

სურსათის ფასები მიმოხილვა


ბოლო ერთი წლის განმავლობაში სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ფასები გაიზარდა. ძირითადი მიზეზი საერთაშორისო ბაზრებზე მიმდინარე მოვლენები გახდა, რაც, თავის მხრივ, წარმოების შემცირებითა და COVID-19 პანდემიის შეზღუდვებით იყო გამოწვეული. საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორების მიერ დაწესებულმა სავაჭრო შეზღუდვებმაც დამატებითი ზეწოლა მოახდინა სურსათის ფასებზე საქართველოში. ფასები განსაკუთრებით გაიზარდა შემდეგ ქვეჯგუფებში:

ზეთი და ცხიმი – ამ კატეგორიაში წლიურ ჭრილში ყველაზე დიდი ზრდა დაფიქსირდა მზესუმზირის ზეთზე: 2021 წლის ნოემბერში, წინა წელთან შედარებით, ფასი 40.8%-ით გაიზარდა (საქართველოს ზეთის 90% რუსეთიდან შემოაქვს). ამ წლის დასაწყისში რუსეთმა გაზარდა [საექსპორტო გადასახადი მზესუმზირის თესვასა და ზეთზე](#), რათა ადგილობრივ ბაზარზე ფასების ზრდა შეეჩერებინა. ამგვარად, რუსეთის მიერ დაწესებულმა შეზღუდვებმა გამოიწვია მზესუმზირის ზეთის ფასების ზრდა საქართველოში.

ბოსტნეული და ბაღჩეული – 2021 წლის ნოემბერში ფასები გაიზარდა ბოსტნეულის ქვეკატეგორიის ყველა პროდუქტზე. ფასების ყველაზე დიდი ზრდა დაფიქსირდა კომბოსტოსა (96.7%) და ბადრიჯანზე (74.8%). ვაჭრობის სტატისტიკის მიხედვით, 2021 წლის იანვარ-ნოემბერში ბოსტნეულის საექსპორტო ღირებულება (26.4 მლნ. აშშ დოლარი) სამჯერ აღემატებოდა 2020 წლის იანვარ-ნოემბრის ანალოგიურ მაჩვენებელს (8.7 მლნ. აშშ დოლარი). მაშინ, როცა იმპორტირებული ბოსტნეულის ღირებულება შესაბამის პერიოდში 11%-ით, 35.6 მლნ. აშშ დოლარიდან 31.5 მლნ. აშშ დოლარამდე შემცირდა. ექსპორტის ზრდამ და იმპორტის შემცირებამ შეიძლება გამოიწვიოს შიდა ბაზარზე მიწოდების დეფიციტი და, შესაბამისად, ფასის ზრდა, ადგილობრივი ფასების ზრდის პირობებშიც კი.

ადგილობრივი წარმოებაც გაიზარდა. იმის გამო, რომ ადგილობრივი წარმოების სტატისტიკა ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, ძნელია, ზუსტად განისაზღვროს ბოსტნეულის გაძვირების მიზეზი.

პური და პურპროდუქტები – 2021 წლის ნოემბერში ამ კატეგორიაში ფასები ყველაზე მეტად ხორბლის ფქვილსა (22.8%) და ხორბალზე (22.9%) გაიზარდა. მზესუმზირის ზეთის მსგავსად, საქართველოს ხორბლის მთავარი მომწოდებელი რუსეთია და, შესაბამისად, რუსეთის მიერ დაწესებულმა სავაჭრო შეზღუდვებმა (მაგ., ექსპორტის გადასახადის გაზრდა) გავლენა მოახდინა პურის და მარცვლეულის ფასებზე. ფასები შესაძლოა კიდევ გაიზარდოს, რადგან [იზრდება საექსპორტო გადასახადო ტვირთი რუსულ ხორბალზე](#), რასაც ქვეყანაში ხორბლის წარმოების შემცირების მოლოდინიც ემატება.




წყარო: საქსტატი, 2021

საერთაშორისო ფასები

2021 წლის სექტემბერ-ნოემბერში საერთაშორისო ფასები წლიურ ჭრილში გაიზარდა. 2021 წლის ნოემბერში, 2020 წლის ნოემბერთან შედარებით, სურსათის ფასების ინდექსი (FPI), რომელსაც სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) აქვეყნებს, მკვეთრად (27.3%-ით) გაიზარდა.

ნოემბრის FPI-ის ზრდა გამოწვეული იყო მცენარეული ზეთისა (51.4%) და შაქრის (37.9%) ფასების ზრდით. მცენარეული ზეთის ფასში ასეთი მკვეთრი ნახტომი განაპირობა პალმის ზეთის ფასების ზრდამ, მსხვილ მწარმოებელ ქვეყნებში წარმოების შემცირების მოლოდინის გამო. ხოლო შაქრის გაზრდილი ფასი გამოწვეული იყო ეთანოლის უფრო მაღალი ფასებით, რამაც განაპირობა შაქრის ლერწმის დამატებითი გამოყენება ეთანოლის

წარმოებისთვის ბრაზილიაში, რომელიც მსოფლიოში შაქრის უმსხვილესი ექსპორტიორია.





წყარო: FAO, 2021

2021 წლის იანვარ-ნოემბერში საქართველოს მთლიანი ექსპორტმა 3,823 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. 2020 წლის ანალოგიურ პერიოდში, ეს მაჩვენებელი 3,018 მლნ. აშშ დოლარი იყო, რაც წლიურ ჭრილში ექსპორტის 27%-იან ზრდაზე მიუთითებს. ზრდა შესამჩნევია 2019 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებითაც (12%). თუმცა აგრო ექსპორტის მხრივ, ზრდა შედარებით დაბალია (13%) – 943 მლნ. აშშ დოლარი 2021 წელს 2020 წლის 832 მლნ. აშშ დოლართან შედარებით. შესაბამისად, აგრო ექსპორტის წილი მთლიან ექსპორტში 28%-დან 25%-მდე შემცირდა.

შესამჩნევად გაიზარდა მთლიანი იმპორტიც – 7,231 მლნ. აშშ დოლარიდან 2020 წელს 8,999 მლნ. აშშ დოლარამდე 2021 წელს, რაც 2020 წელთან შედარებით 25%-იანი ზრდაა. აღსანიშნავია, რომ 2019 წლის პანდემიამდელ მაჩვენებელთან შედარებით, ეს ზრდა 5%-ს შეადგენს. რაც შეეხება აგრო იმპორტის ცვლილებას, ისევე როგორც ექსპორტის შემთხვევაში, ეს მაჩვენებელი შედარებით უფრო დაბალი ზრდის ტემპით (11%) ხასიათდება: 1080 მლნ. აშშ დოლარი 2020 წელს და 1,202 მლნ. აშშ დოლარი 2021 წელს. აგრო იმპორტის წილი მთლიან იმპორტშიც შემცირდა (15%-დან 13%-მდე).

მთლიანობაში, ექსპორტიც და იმპორტიც ზრდადი ტენდენციით ხასიათდება, პანდემიამდელ პერიოდთან შედარებითაც. თუმცა, აგრო ვაჭრობის წილი მთლიან საერთაშორისო ვაჭრობაში მცირდება.




წყარო: საქსტატი, 2021
შენიშვნა: აგრო ექსპორტი მოიცავს საკვების ექსპორტსაც

ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოში მთლიანი და აგრო ექსპორტი მზარდი ტენდენციით ხასიათდება. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანამ გაუმჯობესა საექსპორტო მაჩვენებლები, ექსპორტიორი კომპანიები საქართველოდან და, ზოგადად, სამხრეთ კავკასიიდან საკმაოდ ხანმოკლე პერიოდით ახერხებენ უცხოურ ბაზრებზე დარჩენას. მსოფლიო ბანკის (2018) მონაცემებით, საქართველოდან ექსპორტიორების მხოლოდ 39.5% ახერხებს უცხოურ ბაზარზე დარჩენას პირველი საექსპორტო წლის შემდეგ. ორი წლის შემდეგ ეს მაჩვენებელი 19.9%-მდე მცირდება, ხუთი წლის შემდეგ კი – 5.5%-მდე.

საქართველოდან ექსპორტირებული პროდუქცია ძირითადად საყოფაცხოვრებო მოხმარებისთვის არის განკუთვნილი. ექსპორტირებული პირველადი და გადამამუშავებული სურსათისა და სასმელების წილი სამრეწველო გამოყენებისთვის საკმაოდ მცირეა.

2020 წელთან შედარებით, 2021 წელს ექსპორტის ზრდა დაფიქსირდა ექსპორტის ფართო ეკონომიკური კატეგორიებიდან ოთხიდან სამ კატეგორიაში. ექსპორტის ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი აბსოლუტური მნიშვნელობით გადამამუშავებული პროდუქტების ექსპორტმა შეიტანა. თუმცა ყველაზე მაღალი, 37%-იანი ზრდა დაფიქსირდა პირველადი სურსათისა და სასმელების ექსპორტში, ძირითადად, შინამეურნეობების მოხმარებისთვის, რასაც მოჰყვა 20%-იანი ზრდა გადამამუშავებული სურსათისა და სასმელების ექსპორტში კვლავ ძირითადად შინამეურნეობების მოხმარებისთვის. პირველადი სურსათისა და სასმელების ექსპორტში, ძირითადად, სამრეწველო მოხმარებისთვის 19%-იანი ზრდა დაფიქსირდა, სამრეწველო დანიშნულების გადამამუშავებული სურსათისა და სასმელების ექსპორტი კი 7%-ით შემცირდა.



წყარო: საქსტატი, 2021

პოლიტიკის მიმოხილვა

საქართველოს მთავრობამ „სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ საძოვრებზე ხელმისაწვდომის“ პროგრამა დაამტკიცა

ეს სახელმწიფო პროგრამა გულისხმობს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების აუქციონზე გატანას, რათა ხელი შეუწყოს მიწის რაციონალურ გამოყენებას კერძო საკუთრებაში გადაცემის გზით და გაზარდოს მიწის ხელმისაწვდომობა. პროგრამის ფარგლებში პრივატიზებისთვის გათვალისწინებულია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების საერთო ფართი – 89,905 ჰექტარი. პროგრამაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს, ასევე, ამხანაგობას, რომელსაც შერჩეული აქვს იჯარის უფლებით გასაცემი საძოვარი და, ამავდროულად, განაცხადის წარდგენისას მფლობელობაში გააჩნია იჯარის უფლებით გასაცემი საძოვრის ასათვისებლად საკმარისი რაოდენობის მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი.

დამატებითი ინფორმაციისთვის მიჰყევით ბმულს: <https://mepa.gov.ge/Ge/News/Details/20513>

საქართველო ისწრაფვის გახდეს ნარჩენების პრევენციასა და გადამუშავებაზე ორიენტირებული ქვეყანა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, კვკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელთან (CENN) ერთად, ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, პლასტმასის ნარჩენების პრევენციის ეროვნული პროგრამა შეიმუშავა, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს, გახდეს ნარჩენების პრევენციასა და რეციკლირებაზე ორიენტირებული ქვეყანა. დოკუმენტი მოიცავს 10-წლიან სტრატეგიას და 5-წლიან სამოქმედო გეგმას, რომლებშიც წარმოდგენილია კონკრეტული ნაბიჯები, თუ როგორ უნდა მოხდეს პლასტმასის მართვის სექტორში ცირკულარული პრაქტიკის დანერგვა, სადაც პრიორიტეტი პლასტმასის პრევენციას, ხელახლა გამოყენებასა და გადამუშავებას ენიჭება.

დამატებითი ინფორმაციისთვის მიჰყევით ბმულს: <https://mepa.gov.ge/Ge/News/Details/20573>

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი
სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების
პოლიტიკის კვლევითი ცენტრი

ავტორები: სალომე დეისაძე s.deisadze@iset.ge
ელენე სეთურიძე elene.seturidze@iset.ge
სალომე გელაშვილი s.gelashvili@iset.ge